საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეხრმლე

მეხრმლე (მეხმლე), გვიანფეოდალურ საქართველოში განაჩენის აღმასრულებელი, რომელსაც სხეულის ნაწილის, ასევე თავის მოკვეთით სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანა ევალებოდა. ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიანი ერეკლე II-ის (1720-98) ქალიშვილის, თეკლეს (1776-1846) ნაამბობის მიხედვით გადმოსცემს ერეკლე II-ის წინააღმდეგ შეთქმულთა დასჯის ამბავს. იგი აღნიშნავს, რომ შეთქმულთა საქმის გამრჩევ სასამართლოს განაჩენში ჩაუწერია: „პაატა ბატონიშვილს მეხ(რ)მლემ თავი გააგდებინოს“.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ა მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წგ. 1, თბ., 1970.